სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე, რექტორის **2025 წლის 24 ოქტომბრის ბრძანება N256/01-01-ის** საფუძველზე - **გეოგრაფიის დეპარტამენტის საქართველოს გეოგრაფიისა და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრაზე** გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს **2025 წლის 10 ნოემბრის N: 73/2025 დადგენილების** პუნქტი 1-ის საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

ოქმი # 5

6 მაისი, 2026

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფ. ნოდარ ელიზბარაშვილი (კომისიის თავმჯდომარე); პროფ. თამარ დოლბაია (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); ასოც. პროფ. გიორგი მელაძე (კომისიის მდივანი); ასოც. პროფ. გიორგი ბრეგვაძე (კომისიის წევრი), ასოც. პროფ. თენგიზ გორდეზიანი (კომისიის წევრი).

დღის წესრიგი:

1. განხილულ იქნა თსუ აკადემიური საბჭოს მიერ, 2026 წლის 27 აპრილს მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ეხება საქართველოს გეოგრაფიის და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრის ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგებს, პროცედურული საკითხების სისწორის, შესაბამის დოკუმენტებში გამოვლენილ ხარვეზების და უზუსტობების გასწორებას.
2. აღნიშნული უზუსტობები და ხარვეზები ასახულია თსუ იურიდიული დეპარტამენტის უფროსის ბ-ნ არჩილ კუკულავას მოხსენებით ბარათში, რომელიც გაიგზავნა თსუ აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის, თსუ რექტორის აკად. ჯაბა სამუშიას სახელზე (13.03.2026, N5320/10).

მოისმინეს:

1. კომისიის მდივანმა გ.მელაძემ კომისიის წევრებს გააცნო თსუ აკადემიური საბჭოს 2026 წლის 27 აპრილის დადგენილება (N32/2026), რომელშიაც ნათქვამია - საკონკურსო-სააპელაციო კომისიისა და უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის მიერ გამოვლენილი ხარვეზების გათვალისწინებით, დაევალოს საკონკურსო კომისიას შესაბამისი საკონკურსო დოკუმენტაციის ხელახალი განხილვა და შემაჯამებელი ოქმის ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის“ სრულყოფა და არსებულ მოთხოვნათა დაცვით წარმოდგენის უზრუნველყოფა.

საკონკურსო კომისიამ პუნქტობრივად განიხილა ბ-ნ ა. კუკულავას მოხსენებით ბარათში წარმოდგენილი შენიშვნები და ერთხმად დაადგინა:

1. კომისიის სხდომა, რომელზეც განხორციელდა კონკურსანტებთან გასაუბრება, დანიშნული იყო 19 დეკემბრის 12 საათზე, რომელიც გადაიდო კომისიის ერთი წევრის, ასოც. პროფ. გ.ბრეგვაძის - ობიექტური მიზეზით დაგვიანების გამო. გასაუბრების გრაფიკში ცვლილების შესახებ ეცნობა ორივე კონკურსანტს, რაც მათ არ გაუპროტესტებიათ. კონკურსანტებთან გასაუბრება დაიწყო 13 სთ-ზე და 45 წთ-ზე. აღნიშნული ცვლილება (გასაუბრების დაწყების დრო) ჩასწორდა შესაბამის ოქმში.
2. კონკურსის მეორე ანუ კონკურსანტების კომისიის წევრებთან გასაუბრების ეტაპზე გამოიკვეთა, რომ კონკურსანტი მარიამ ელიზბარაშვილი პრაქტიკულად ვერ ერკვევა ლანდშაფტური გეოგრაფიის და ლანდშაფტური დაგეგმარების ელემენტარულ საკითხებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, იგი არსებითად არ შეესაბამება კათედრის სამეცნიერო და აკადემიურ პროფილს. კონკურსანტის შეფასების ანკეტაში პუნქტი 3.10 - სამეცნიერო კვლევების კონცეფცია/სამოტივაციო წერილი, შეფასდა ,,ნაწილობრივ შეესაბამება" (რაც გამორჩენილი იყო ოქმში). საერთო შეფასება III კატეგორიის მიხედვით, პუნქტში - ,,ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლოს და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას", შეფასდა როგორც ,,საშუალო" (რაც ასახულია შესაბამის ოქმში).
3. საკონკურსო კომისიამ იმპაქტ-ფაქტორულ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების შესაფასებლად განსაზღვრა ბოლო 10 წელი. 2015 წლიდან კონკურსანტ მ. ელიზბარაშვილს გამოქვეყნებული აქვს 17 სამეცნიერო ნაშრომი, ხოლო სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციების რაოდენობამ შეადგინა 43 (რაც დაზუსტდა შესაბამის ოქმში).
4. პუნქტი 3.8 შესწორდა. კონკურსანტ მ. ელიზბარაშვილის თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან - 55 (რაც დაზუსტდა შესაბამის დოკუმენტში).
5. კონკურსანტ დ.სვანაძის 13 პროექტში მონაწილეობის დამადასტურებელი ინფორმაცია სრულად გადამოწმდა და დადასტურდა.
6. მ. ელიზბარაშვილის ,,კონკურსანტის შეფასების ფორმა" (დანართი N4), 3.10 პუნქტში ,,სამეცნიერო კვლევების კონცეფცია/სამოტივაციო წერილი" გამორჩენილი იყო შეფასება, რომელიც ჩასწორდა შესაბამის ოქმში.
7. დავით სვანაძის შეფასების ოქმიდან ამოღებულია ფრაზა - ,,2005-2011 წლებში მონაწილეობდა და შემდგომში ხელმძღვანელობდა საველე გლაციოლოგიურ ექსპედიციებს"; რადგან არ შეესაბამებოდა დოკუმენტაციის განხილვის ბოლო 10 წლიან პერიოდს,
8. დ.სვანაძეს კონკურსანტის ანკეტაში - პუნქტი 2.1 ,,პედაგოგიური გამოცდილება", მე-6 ნომრად მითითებულია კურსი ,,ემპირიული კვლევის მეთოდოლოგია სოციალურ მეცნიერებებში", რომელსაც იგი კითხულობდა სოციალურ და პოლიტიკურ

მეცნიერებათა ფაკულტეტზე. აღნიშნული კურსი კომისიის მიერ ამოღებულია კონკურსანტის შეფასების პუნქტი 2.4-დან - ,,სასწავლო კურსების დასახელება, რომელთა წაკითხვა შეუძლია კონკურსანტს".

დ. სვანაძეს დანართის სახით წარმოდგენილი აქვს 4 სილაბუსი: 1. გეოსაინფორმაციო (GIS) სივრცითი ანალიზი; 2. გეოსაინფორმაციო (GIS) სივრცე-დროითი ანალიზი და სინთეზი; 3. დისტანციური ზონდირება გეოგრაფიაში; 4. სივრცითი დაგეგმარების საფუძვლები. კონკურსანტის ანკეტაში პუნქტი 2.5 - სილაბუსები ,,დისტანციური ზონდირება გეოგრაფიაში" და ,,სივრცითი დაგეგმარების საფუძვლები", წარმოდგენილია სათაურებით: ,,გამოყენებითი დისტანციური ზონდირება გეოგრაფიაში" და ,,სივრცითი დაგეგმარების გეოგრაფიული საფუძვლები". ერთ შემთხვევაში ფიგურირებს სიტყვა ,,გამოყენებითი", ხოლო მეორე შემთხვევაში სიტყვა ,,გეოგრაფიული", რაც კომისიის აზრით საგნის და სილაბუსის შინაარსს არ ცვლის.

9. კონკურსანტის შეფასების III კატეგორიის 3.9 პუნქტში უნდა იყოს მითითებული ,,არსებითად შეუსაბამო". ანუ ისევე, როგორც არის შეფასებული შემაჯამებელ ოქმში.

N1 ოქმში მითითებული დუბლირებით გამოწვეული სხვა გვარები და თარიღები ჩასწორდა.

ჩანაწერი შემაჯამებელ ოქმში, რომელიც შეეხება რეკომენდაციას კონკურსანტ მ. ელიზბარაშვილის მომავალი დასაქმების შესახებ, ამოღებულია შემაჯამებელი ოქმიდან ოქმიდან, ვინაიდან საკითხი სცდება საკონკურსო კომისიის კომპეტენციას.

ამრიგად, კომისიის სხდომის პროცესში განხილულ და ჩასწორებულ იქნა ყველა უზუსტობა და ხარვეზი, რომლებიც მითითებულია თსუ იურდიული დეპარტამენტის უფროსის ბ-ნ ა. კუკულავას მოხსენებით ბარათში.

პროფ. ნოდარ ელიზბარაშვილი (კომისიის თავმჯდომარე):

პროფ. თამარ დოლბაია (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე):

ასოც. პროფ. გიორგი მელაძე (კომისიის მდივანი):

ასოც. პროფ. გიორგი ბრეგვაძე (კომისიის წევრი):

ასოც. პროფ. თენგიზ გორდეზიანი (კომისიის წევრი)